

3D მასაჟიორი Ultra Shape WELSS WS 3070

Welss კომპანიის პროდუქცია - თქვენი საკუთარი კოსმეტოლოგიური სალონი!

მადლობას გიხდით მოცემული პროდუქტის არჩევისთვის.

3D მასაჟიორი UltraShape WELSS WS 3070

- უნიკალური Y-სებრი მოწყობილობის არქიტექტურა.
- ლიმფოდრენაჟის გორგოლაჟები 288 წახნაგით
- კანზე მიკროდენით ზემოქმედება
- ბრუნვა 360°C
- უნივერსალურობა
- კომპაქტურობა
- წყალგაუმტარობა
- ჰიპოალერგიული დაფარვა

3D მასაჟიორი UltraShape WELSS WS 3070 მთავარი უპირატესობა - უნივერსალურობაა. მასაჟიორი გამოიყენება როგორც მექანიკური მოწყობილობა, ასევე მისი დატენვა შესაძლებელია მზის ბატარეების მეშვეობით.

3D მასაჟიორი UltraShape WELSS WS 3070:

- ხელს უწყობს მეტაბოლიზმის გაუმჯობესებას და ორგანიზმის უჯრედების გაახალგაზრდავებას.
- ნორმაში მოყავს ნივთიერებათა ცვლის პროცესები.
- აუმჯობესებს ლიმფის ცირკულაციას.
- ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას.
- გამოყავს ზედმეტი სითხე და ტოქსინები.
- ამცირებს კანქვეშა-ცხიმოვანი ნალექების მოცულობას.
- აკორექტირებს სახისა და ტანის ფორმას.
- ასწორებს ნაოჭებს.
- აშორებს შეშუპებას.
- ხელს უწყობს თქვენი საყვარელი კრემებისა და შრატების მაქსიმალურ შეწოვას.

მასაჟიორის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას!

მოწყობილობა

1. მზის ენერჯის შთანთქმის დროს მოწყობილობა ქმნის მიკროდენს, რომელიც ხელს უწყობს მეტაბოლიზმის გაუმჯობესებას და ორგანიზმის უჯრედების გაახალგაზრდავებას. მასაჟიორის მექანიკური ზემოქმედება ვაკუუმური მასაჟიორის მოქმედების მსგავსია.
2. ლიმფოდრენაჟული გორგოლაჟების მოქმედება ანალოგიურია პროფესიონალური მასაჟისტის მოქმედებასთან. პროცედურის დროს გორგოლაჟები რბილად იტაცებენ კანს, რის შედეგად ხდება „პწკენის“ იმიტაცია. კანზე მოქმედების ინტენსიურობის რეგულირებას თქვენ შეძლებთ დამოუკიდებლად.
3. Y-სებრი მოწყობილობის არქიტექტურა, 288 წახნაგით ლიმფოდრენაჟული გორგოლაჟი, 360°C ბრუნვა გვამლევს საშუალებას სახლის პირობებში ყოველდღიურად მოსადუნებელი მასაჟიდან სერიოზული ლიფტინგ პროცედურამდე ჩატარების საშუალებას.

მოწყობილობის მომზადება გამოყენებისთვის:

1. შესაძლებელია მასაჟიორის გამოყენება როგორც მექანიკური მოწყობილობის, ასევე მისი დატენვა მზის ბატარეების მეშვეობით.
2. პროცედურის წინ მოიხსენით ყველა სამკაული.
3. აიკარით თმები.
4. თუ თქვენ მშრალი ან მგრძნობიარე კანი გაქვთ დაატანეთ კრემი.

მასაჟიორის გამოყენება

სახის კანის მოვლა

1. დრენაჟული ეფექტის მისაღწევადგადაატარეთ მასაჟიორი ზემოთ-ქვემოთ სამასაჟო არეებზე.
2. იმისათვის რომ მოიშოროთ „მეორე“ ნიკაპი კარგად დაამუშავეთ კანი პრობლემურ ზონაში - მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით. მოძრაობები უნდა იყოს რბილი და ნარნარი.

კოსრის კანის მოვლა

3. მოსადუნებელი ეფექტისთვის რბილი მოძრაობებით გადაატარეთ მასაჟიორი ბეჭებიდან კეფამდე.

ტანის მოვლა

4. ილლიის არეში ზედმეტი ცხიმოვანი ნალექის მოსაშორებლად რბილი მოძრაობებით გადაატარეთ მასაჟიორი ზემოთ-ქვემოთ.

5. გულმკერდის კუნთის გასამაგრებლად ოდნავ ძალა დაატანეთ მოწყობილობის სახელურს, გადაატარეთ მასაჟიორი ზემოთ-ქვემოთ ილლიის არედან მკერდისკენ.

6. წელის ზონის კორექციისთვის რბილად გადაატარეთ მასაჟიორი გვერდებზე ზემოთ ქვემოთ.

ტანის მოვლა

7. ცელულიტის მოსაშორებლად მასაჟიორზე ოდნავი დაჭერით გადაატარეთ ის ზემოთ-ქვემოთ თემოს გარე და შიდა მხარეებზე.
8. გულმკერდის კუნთის ასაწევად რბილად გადაატარეთ მასაჟიორი მკერდის ქვემოდან შუამდე.
9. მუცლის აჭიმვისთვის ნარნარად გადაატარეთ მასაჟიორი მენჯის ძვლის გასწვრივ.
10. კისრისა და მხრების იდეალური კონტურისთვის გადაატარეთ ოდნავი ძალდატანებით მასაჟიორი დეკოლტეს ზონაში ზემოთ-ქვემოთ.
11. წინა მხრის ზონის გასამაგრებლად გადაატარეთ მასაჟიორი მაჯიდან იდაყვამდე.
12. ფეხების რელიეფურობისთვის ტარზე ოდნავი დაჭერით გადაატარეთ მასაჟიორი კოჭიდან მუხლის შიდა მხარისკენ.

ექსპლუატაცია

1. გამოყენების წინ აუცილებლად გარეცხეთ ის და კარგად გაამშრალეთ. ყოველი პროცედურის შემდეგ აუცილებლად გაწმინდეთ მისი ზედაპირი რბილი ბამბის ქსოვილით. თუ მოწყობილობის ზედაპირი ძალიან დაბინძურებულია გარეცხეთ მასაჟიორი თბილი წლით ნეიტრალური სარეცხი საშუალების დამატებით.
2. მოწყობილობის გარეცხვა და გაშრობა სასურველია მოხდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში რათა თავიდან ავიცილოთ წყლის მოხვედრა შიგნით.
3. არ არის რეკომენდირებული მოწყობილობის გაწმენდა პოლირებისთვის განკუთვნილი ქსოვილით ან სპირტშემცველი სველი ხელსახოცებით.
4. რეკომენდირებულია მოწყობილობის გაშრობა ოთახში კარგი ჰაერის ვენტილაციით.

უკუჩვენება

1. ლითონის მიმართ მომატებული მგრძობიარობა.
2. კარდიოსტიმულატორების და სხვა ელექტროსამედიცინო მოწყობილობების არსებობა-ტარება.
3. ფეხმძიმობის დაგეგმვის დროს, ფეხმძიმობისას, ლაქტაციისა და მენსტრუალური პერიოდის დროს.
4. გემოფილია, გემორაგიული დაავადებები, სისხლის მაჩვენებლებში გადახრა.
5. კოგნიტური ანომალიები და პარალიჩი.
6. ჰიპერტონია.
7. დერმატიტები.
8. კანის დაზიანება.
9. ფსიქიკური აშლილობა.
10. ალკო/ნარკო დამოკიდებულება
11. ოპერაციის შემდგომი პერიოდი
12. 24 საათი ეპილაციამდე და 24 საათი ეპილაციის შემდეგ.

**3D მასაჟიორი UltraShape
WELSS WS 3070**

ტექნიკური მახასიათებლები:

ზომა.....170 მმ (სიგრძე) x 100 მმ (სიგანე)

მასალა.....აბც-პლასტიკი, ალუმინი, უჟანგავი ფოლადი, რბილი პლასტიკი

წონა.....170 გრ.

მიკროდენი.....38 მ ამ-დე (მიკროამპერამდე)